2 2007	ენერჯი ინვესტი - თსუ	95:75	8 2013	ოლიმპი - რუსთავი	80:67
3 2008	ავიამშენი - ენერჯი ინვესტი	80:78	9 2014	დინამო - სოხუმი	80:75
4 2008	ენერჯი ინვესტი - ნტდ თბილისი	91:60	10 2015	შსს აკადემია - რუსთავი	84:79
5 2010	ენერჯი ინვესტი - შსს აკადემია	75:58	11 2016	ქუთაისი - სოხუმი	86:57
6 2011	თსუ - სოხუმი	102:86			

საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები

№	2 ქულა			3 ქულა			საჯ.			მოხსნა			პას	კმ	დაკ	რ	დ	ეფ	ქ	
	წ	ს	%	წ	ს	%	წ	ს	%	მ	ს	გამ								
1 ანატოლი ბოისა	19:12	0	0	0,0	3	4	75,0	0	0	0,0	0	4	4	2	4	0	1	0	0	9
4 ზურ ფაშაველი	31:54	1	2	50,0	1	3	33,3	0	0	0,0	0	4	4	6	1	0	1	3	0	5
6 თეიმურაზ ბაბუნაშვილი	05:50	1	2	50,0	0	1	0,0	0	0	0,0	0	0	0	1	0	0	0	1	0	2
7 ვახტანგ ქადარია	25:56	6	11	54,5	0	0	0,0	2	2	100,0	3	5	8	3	2	1	0	1	0	14
8 გიორგი ცეკვაგა	23:48	0	4	0,0	1	4	25,0	0	0	0,0	1	2	3	3	3	1	1	0	1	3
11 ტრევი ბრიტონი	00:00	0	0	0,0	0	0	0,0	0	0	0,0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
13 დავით ბარბაქაძე	23:41	2	2	100,0	2	5	40,0	3	5	60,0	1	3	4	4	1	3	1	0	0	13
15 გიორგი ბარბაქაძე	19:15	4	4	100,0	3	6	50,0	1	2	50,0	1	5	6	1	3	2	2	2	2	18
23 რინარდ მათიაშვილი	00:00	0	0	0,0	0	0	0,0	0	0	0,0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
31 დავით ნიფინაძე	04:10	1	2	50,0	0	1	0,0	2	2	100,0	1	0	1	1	1	1	0	0	0	4
33 ბექა ბექაური	27:46	1	6	16,7	2	4	50,0	3	8	37,5	3	12	15	4	2	6	2	1	4	11
91 ივან მიკულაჩი	18:28	1	3	33,3	1	1	100,0	2	2	100,0	0	4	4	5	2	1	5	0	0	7
გუნდი											0	1	1	0	0	0	0	0	0	0
სულ	17	36	47,22	13	29	44,83	13	21	61,90	10	40	50	30	19	15	13	8	7	86	

№	2 ქულა			3 ქულა			საჯ.			მოხსნა			პას	კმ	დაკ	რ	დ	ეფ	ქ	
	წ	ს	%	წ	ს	%	წ	ს	%	მ	ს	გამ								
1 ფილიპ მილერი	30:00	3	6	50,0	1	3	33,3	3	4	75,0	0	1	1	3	1	6	3	3	0	12
3 ანდრე სმიტი	29:55	2	4	50,0	1	7	14,3	2	2	100,0	1	2	3	4	1	1	1	1	0	9
4 გივი ბაქრაძე	16:33	1	2	50,0	0	3	0,0	0	0	0,0	1	1	2	3	1	0	2	0	0	2
5 მეთე გლოვერი	20:10	0	4	0,0	0	1	0,0	2	4	50,0	1	4	5	4	2	7	1	3	0	2
7 ირაკლი ალხანაიძე	04:22	0	0	0,0	0	0	0,0	0	0	0,0	0	1	1	0	1	0	0	0	1	0
8 გიორგი კვეციანიძე	18:17	0	1	0,0	1	4	25,0	0	0	0,0	0	2	2	2	2	0	0	0	1	3
9 გიორგი ჯგერენია	19:35	1	6	16,7	0	0	0,0	3	6	50,0	2	4	6	0	3	3	4	0	0	5
11 სერგო ათუაშვილი	27:46	5	10	50,0	1	4	25,0	1	2	50,0	1	5	6	2	2	1	1	1	3	14
13 დიმიტრი დვალაძე	17:20	0	2	0,0	2	3	66,7	0	0	0,0	0	3	3	1	2	0	0	1	0	6
15 მერაბ მირზიაშვილი	01:24	1	1	100,0	0	0	0,0	0	0	0,0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2
30 ირაკლი ლომიძე	09:47	0	1	0,0	0	2	0,0	0	0	0,0	1	2	3	1	0	0	0	0	0	0
45 ირაკლი ძიძიგერი	04:51	1	2	50,0	0	0	0,0	0	0	0,0	0	0	0	2	0	1	0	0	0	2
გუნდი											2	4	6	0	0	0	1	0	0	0
სულ	14	39	35,90	6	27	22,22	11	18	61,11	9	29	38	22	15	19	13	9	5	57	



გამარჯვებული ნაჩივის სპორსორი

უპირატესობა უძღვბია ტოდნისა!

ტოდნისა

აუდიტური კონტროლი



შპს აუდიტური კონტროლი "ტოდნისა" საქართველოს ქალაქური თვის ეროვნული ნაჩივის სპორსორი

www.tsodnisa.ge

ქორეჟია-საკანდალიძის მემორიალური



საქართველოს თასი

საქართველოს 2016 წლის თასის გათამაშების გამარჯვებული გახდა „დინამო თბილისი“. ირაკლი ხოშტარიას განვრთნილმა გუნდმა ფინალურ მატჩში დიდი უპირატესობით - 85:59 დაამარცხა „სოხუმი“ და ქართული კალათბურთის ერთ-ერთი მთავარი ტიტული მოიგო.

მიუხედავად იმისა, რომ ფინალური შეხვედრა იყო და შანსებიც დაახლოებით თანაბრად ნაწილდებოდა, დინამოელებმა ყველა კომპონენტში იძალდეს. მატჩი როგორც დაიწყო, ისე დასრულდა - „დინამო“ თავიდანვე სოლიდურ სათამაშო უპირატესობას ფლობდა, რაც მალევე ასახა ანგარიშში და ხელჩასაჭიდი ლიდერობა საფინალო სირენამდე ხელიდან არ გაუშვია.

2016 წლის თასის გათამაშება ტრადიციულად პლეი ოფის სისტემით ჩატარდა. თავდაპირველად საკვალიფიკაციო ეტაპი გაიმართა, რომელშიც 3 გუნდი მონაწილეობდა და გამარჯვებულს ტურნირის მეოთხედფინალის ბოლო საგზური ერგო. „ვიტამ“ ჯერ „წყალტუბო“ დაამარცხა, შემდეგ კი „ვიტასაც მოუგო და მეოთხედფინალში მომავალ გამარჯვებულ „დინამოს“ შეუწყვილდა.

მეოთხედფინალში საინტერესო ბრძოლები გაიმართა, რის შედეგადაც ნახევარფინალში „დინამო“ - „რუსთავი“ და „ბათუმი“ - „სოხუმი“ გავიდნენ. აღნიშნულ წყვილებში დინამოელებმა იოლად იმარჯვეს, ხოლო სოხუმელებმა ბათუმში დაძაბულ ბრძოლაში იმარჯვეს და ფინალში გავიდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, სატიტულო შეხვედრა ვერ გამოდგა დაძაბული. დინამოელებმა საკმაოდ იოლად სძლიეს „სოხუმს“ და საქართველოს თასს დაეპატრონნენ.

ტიტულთან ერთად „დინამომ“ 50 000 ლარიც მოიგო, რომელიც პირველად, თასის გათამაშების ისტორიაში კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ გამარჯვებულისთვის დააწესა. მატჩის შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. დინამოელები თასის ფორმის მედლებით ვეტერანმა კალათბურთელებმა, ნოდარ ქორქიამ დაჯილდოვა.

რადიო „ჭაკოს“ მიერ ჩემპიონი გუნდის ბომბარდირისთვის დაწესებული კოტე მახარაძის სახელობის თასი, დინამოელ მაქსიმ კოვაჩევიჩს ცნობილმა ჟურნალისტმა, ჯამლეტ ხუხაშვილმა გადასცა.



ფინალური მატჩის საუკეთესო მოთამაშედ გიორგი შარაბიძე დასახელდა, რომელიც „დინამოს“ ყოფილმა მოთამაშემ და მწვრთნელმა, ვეტერანმა კალათბურთელმა, ლევან მოსეშვილმა სპეციალური პრიზით დააჯილდოვა.

დინამოელთა კაპიტანს, ილია ლონდარძეს საჩემპიონო თასი კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, გიორგი ქართველიშვილმა გადასცა, რის შემდეგაც დინამოელთა ზეიმი ფოიერვერკის თანხლებით გაგრძელდა.

საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები




დინამო

№	2 ქულა			3 ქულა			საჯ.			მოხსნა			პას	კმ	დაკ	ჩ	დ	ეფ	ქ		
	ჩ	ს	%	ჩ	ს	%	ჩ	ს	%	მ	ს	ჯამ									
1	გიორგი შარაბიძე	28:20	6	12	50,0	0	0	0,0	0	0	0,0	4	7	11	2	1	2	2	0	0	12
3	ნიკოლოზ ბაქრაძე	02:43	0	0	0,0	0	1	0,0	0	0	0,0	0	1	1	0	1	0	0	0	0	0
6	ჭუველიძე	26:46	3	5	60,0	1	5	20,0	1	1	100,0	3	2	5	2	3	2	1	4	0	10
7	სანდრო სანაძე	16:01	2	3	66,7	0	1	0,0	2	2	100,0	0	2	2	2	1	1	1	0	0	6
8	გიორგი ვახანია	06:43	1	1	100,0	0	2	0,0	0	0	0,0	0	2	2	2	0	1	4	1	0	2
9	ილია ლონდარიძე	13:05	3	5	60,0	0	0	0,0	1	3	33,3	1	4	5	0	4	3	1	0	1	7
11	გრიგოლ შვანდრაძე	14:27	0	0	0,0	1	2	50,0	0	0	0,0	0	2	2	3	3	0	1	1	0	3
17	მიხეილ ბერიძე	23:50	0	2	0,0	3	6	50,0	0	0	0,0	0	1	1	4	1	1	1	2	0	9
21	ნოდარ გოგოძე	28:48	1	5	20,0	2	3	66,7	2	3	66,7	2	3	5	2	4	1	0	4	0	10
22	ებრეუ მავალაძე	10:34	0	1	0,0	1	1	100,0	4	4	100,0	0	1	1	3	1	2	1	1	2	7
24	მაქსიმ კოვასევიჩი	24:39	5	5	100,0	2	6	33,3	1	4	25,0	3	4	7	3	1	4	4	0	0	17
77	კირილე ტატუნაშვილი	04:04	1	1	100,0	0	0	0,0	0	0	0,0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2
	გუნდი																				
	სულ		22	40	55,00	10	27	37,04	11	17	64,71	13	32	45	23	20	17	16	13	3	85

სოხაი

№	2 ქულა			3 ქულა			საჯ.			მოხსნა			პას	კმ	დაკ	ჩ	დ	ეფ	ქ		
	ჩ	ს	%	ჩ	ს	%	ჩ	ს	%	მ	ს	ჯამ									
1	ფილიპ მილერი	36:43	8	15	53,3	1	3	33,3	3	5	60,0	3	1	4	4	2	5	3	5	0	22
3	ანდრე სმიტი	27:53	2	5	40,0	0	5	0,0	2	2	100,0	0	3	3	2	3	3	3	5	0	6
4	გივი ბაქრაძე	31:53	4	6	66,7	1	7	14,3	5	5	100,0	1	0	1	3	5	3	3	1	0	16
7	ირაკლი ალხანაძე	11:27	1	3	33,3	0	0	0,0	0	0	0,0	3	2	5	0	1	0	1	0	0	2
8	გიორგი კვეციანიძე	10:52	0	2	0,0	0	1	0,0	0	0	0,0	0	3	3	0	1	0	0	0	0	0
9	გიორგი ჭვინავაძე	20:11	0	1	0,0	0	1	0,0	3	4	75,0	3	5	8	1	1	2	1	0	0	3
11	სერგო ათუაშვილი	27:19	4	6	66,7	0	2	0,0	2	2	100,0	2	2	4	1	3	1	4	0	0	10
12	ლევან ფაცაცია	26:07	0	6	0,0	0	5	0,0	0	0	0,0	2	4	6	1	1	5	1	0	1	0
13	დიმიტრი დვალაძე	00:00	0	0	0,0	0	0	0,0	0	0	0,0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
15	მერაბ მირზაშვილი	06:43	0	0	0,0	0	0	0,0	0	2	0,0	3	1	4	0	0	1	1	0	0	0
30	ირაკლი ლომიძე	00:52	0	0	0,0	0	0	0,0	0	0	0,0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
45	ირაკლი ძიძიგური	00:00	0	0	0,0	0	0	0,0	0	0	0,0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	გუნდი																				
	სულ		19	44	43,18	2	24	8,33	15	20	75,00	18	23	41	12	17	20	19	11	1	59

PLAYOFFS



ხარისხის გარანტი 1994 წლიდან!



THE MEMBER OF PSP GROUP



საქართველოს ფარმაცევტულ სექტორში პე-ეს-პე იყო პირველი კომპანია, რომელმაც ევროპულ მწარმოებლებთან დაამყარა ურთიერთობა და ამ ურთიერთობებში წამყვანი საქართველოს მოსახლეობის ინტერესი გახლდათ.

23 წლის მანძილზე კომპანიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფარმაცევტული დარგის შექმნასა და განვითარებაში, რასაც ყოველდღიური საქმიანობით კვლავაც განაგრძობს.

პე-ეს-პე ერთადერთი ფარმაცევტული კომპანიაა საქართველოში, რომელსაც აქვს საერთაშორისო სტანდარტის, თანამედროვე, ინოვაციური ფარმაცევტული საწარმო კავკასიაში - GMP (www.gmp.ge), რომელიც წამლის

წარმოების სრულ ციკლს ახორციელებს საერთაშორისო სტანდარტის GMP-ის დაცვით.

კომპანია აწარმოებს 100-ზე მეტი მედიკამენტის ექსპორტს 10 სხვადასხვა ქვეყანაში: სომხეთი, აზერბაიჯანი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, მოლდოვა, ბელორუსია, ყაზახეთი, უკრაინა, ლიბია და სხვა.

PSP-ს 200-მდე აფთიაქი თბილისის ყველა უბანსა და საქართველოს რეგიონულ ცენტრებში მომხმარებელს 30000-ზე მეტი დასახელების გარანტირებული ხარისხის პროდუქციას სთავაზობს ყველაზე ხელმისაწვდომ ფასად.



'PSP' გამოირჩევა მომხმარებელთა ინტერესების დაცვისა და სხვადასხვა ინოვაციებით. 2016 წელს კომპანიამ სრულიად ახალი კონცეფციის აფთიაქების მომსახურება შესთავაზა მომხმარებელს რებრენდირებულ აფთიაქებში- ოჯახზე, სილამაზესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვის ორიგინალური სივრცეებით.

'PSP' 2007 წლიდან ატარებს წამახალისებელ გათამაშებას ერთგული მომხმარებლისთვის. ყოველწლიურად „4 სეზონი - 4 გათამაშების“ ფარგლებში მომხმარებლები სოლიდურ პრიზებს იღებენ და ამასთან მუდმივად საიტერესო აქციების სარგებლობენ ნებისმიერ აფთიაქში.

პსპ ჯგუფში 5000-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.





ქალთა ლიგის საქართველოს თასი


ქალთა ლიგის 2 უმთავრესი პრიზი ორმა ყველაზე გამორჩეულმა გუნდმა გაინაწილა. „ნაკრები-ბასტიონმა“ საქართველოს ჩემპიონატის ფინალში „ვეჯინი“ დაამარცხა, ხოლო თასის ფინალში ვეჯინელებმა რევანში აიღეს და ქალთა ლიგაში გათამაშებულ რანგით მეორე ტიტულს დაეუფლნენ.

თასის ფინალში ტრადიციულად სეზონის 2 საუკეთესო გუნდი - ჩემპიონატის ფინალისტები ხვდებიან. „ვეჯინი“ და „ნაკრები-ბასტიონი“ 2015-2016 წლების სეზონის საუკეთესო გუნდები იყვნენ და წაგებები მხოლოდ ერთმანეთთან განიცადეს. ქალთა ლიგის მონაწილე კიდევ ორმა გუნდმა - „ქუთაისმა“ და „ახმეტამ“ ფავორიტებს წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

თასის ფინალი ჩემპიონატის ფინალის მსგავსად დაძაბული ვერ გამოდგა. ჩემპიონატის სატიტულო მატჩში 2 დამატებითი დრო დაინიშნა, თასის ფინალში კი „ვეჯინმა“ ძირითად დროში - 71:58 მოუგო „ნაკრები-ბასტიონს“ და ტიტულს დაეუფლა. საბოლოოდ 13-ქულიანი სხვაობა კი დაფიქსირდა, თუმცა მთლიანად მატჩი საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ლელა ცანავას განვრთნილი „ნაკრები-ბასტიონი“ მეტოქეს არ რჩებოდა და არაერთხელ, მატჩის მსვლელობისას

დანინაურდა კიდევ. გადამწყვეტ მომენტში ვეჯინელთა გამოცდილებამ გაჭრა და ნატალია ჩიკვაიძის განვრთნილი ვეჯინელები გამარჯვებამდე მივიდნენ. თასის მფლობელებს ხათუნა საჭაიამ ულიდერა, რომელმაც 28 ქულა მიითვალა. 17 ქულა მიითვალა ნათია ფუტკარაძემ, ხოლო გამარჯვებულებს 15 ქულა ანა მაისურაძემ შესძინა. „ნაკრები-ბასტიონში“ ტრადიციულად ნატალია ოთხმეზური გამოირჩა, რომელმაც 22 ქულა მოაგროვა. მატჩის დასრულების შემდეგ დაჯილდოვების ცერემონიალი გაიმართა. თასის მფლობელები სიგელებით ვეტერანმა კალათბურთელმა ანტონ კაზანჯიანმა და ფედერაციის ქალთა კალათბურთის განყოფილების ხელმძღვანელმა ვალენტინ დერიუგინმა დააჯილდოვეს.

ტრადიციულად, თასის ფინალის შემდეგ გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშე დასახელდა. აღნიშნული ტიტული „ნაკრები-ბასტიონის“ ლიდერ ნატალია ოთხმეზურს ერგო, რომელსაც საგანგებო პრიზი ვალენტინ დერიუგინმა გადასცა. საჩემპიონო თასი ვეჯინელთა კაპიტანმა, ხათუნა საჭაიამ ვეტერანი ქალი კალათბურთელისგან - ნატო ლორიასგან ჩაიბარა.



ALL STAR

ყველა ვარსკვლავის მატჩი-აქცია

2016 წლის სუპერლიგის ყველა ვარსკვლავის მატჩი-აქცია სპორტის ახალ სასახლეში, ბერასთან ერთად გაიმართა. ქართული კალათბურთისა და სპორტის მხარდასაჭერად ცნობილმა შემსრულებელმა იმ შოუში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ორგანიზატორებმა და სუპერლიგის საუკეთესო მოთამაშეებმა გულშემოტკივრებს შესთავაზეს. სპორტის სასახლეში 2 ათასამდე გულშემოტკივარი მოვიდა, რომელიც აქტიურად უჭერდა მხარს როგორც კალათბურთელებს, ისე ბერას შემოქმედებას, რომელმაც ჩატენგების კონკურსშიც მიიღო მონაწილეობა და მომავალ გამარჯვებულს ასისტენტობა გაუწია.

მატჩი

მატჩი ტრადიციულად სანახაობრივად, ჯარიმების გარეშე წარიმართა. რეგიონისა და თბილისის კლუბებისგან დაკომპლექტებულმა გუნდებმა მაყურ-

ბელს ბევრი ეფექტური ეპიზოდი წარუდგინეს. როგორც წესი, შეხვედრა უხვქულიანი გამოდგა და საბოლოოდ რეგიონის გუნდის გამარჯვებით - 148:122 დასრულდა. შეგახსენებთ, რომ ქართული ოლ სტარისთვის მონაწილეები სუპერლიგის ვებ-გვერდზე მიმდინარე გამოკითხვის შედეგად შეირჩა, სათადარიგოები კი მწვრთნელებმა შეარჩიეს. რეგიონის გუნდს კოტე ტულუში და რამამ გოგობერიშვილი უძღვებოდნენ, ხოლო „თბილისს“ - დავით უსტიაშვილი და ირაკლი ხოშტარია. მატჩის ბომბარდირი გახდა რეგიონის გუნდის წევრი გიორგი ბარბაქაძე, რომელმაც 31 ქულა მოაგროვა და ტრადიციული - MVP-ის ტიტული მოიგო. გიორგი ბარბაქაძეს მატჩის შემდეგ სპეციალური პრიზი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ გადასცა. დიდ შესვენებაზე ბერამ მსმენელს საგანგებოდ ქართული ოლ სტარისთვის შექმნილი მუსიკალური ნომერი შესთავაზა და კალათბურთისადმი საკუთარი

მხარდაჭერა იმითაც გამოხატა, რომ ქომაგების წინაშე საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურით წარსდგა. ბერამ 10-ნუთიანი ნომერი 23-ნომრიანი მაისურით შეასრულა, რომელიც ნაკრებში მის მეგობარს, ესპანური „ლაბორალ კუჩას“ წევრ თორნიკე შენგელიას ეკუთვნის. ბერასთან სინქრონში საცეკვაო ნომერი შეასრულა ტყუპი ძმების ჯგუფმა, ხოლო დიდ შესვენებაზე მაყურებლებს ბატუტის გამოყენებით ლამაზი ჩატენგების შოუ წარმოუდგინა აკრობატთა ჯგუფმა „ჰოპერსმა“ და „ME&MY“.

ჩატენგების კონკურსი

მონაწილე სამი იყო - დევიდ კაილსი „რუსთავიდან“, სოხუმელი მეთუ გლოვერი და გიორგი ბარბაქაძე. ლეგიონერთა მიერ შესრულებული რიგითი ნომრების შემდეგ გიორგი ბარბაქაძის ჯერი დადგა, რომელმაც საკუთარი ილეთის შესასრულებლად ბერას უხმო.





ახალგაზრდა შემსრულებელმა ბარბაქაძეს, რომელსაც აქამდე 2-ჯერ ჰქონდა ჩატენგების კონკურსი მოგებული, ასისტენტობა გაუწია. მართალია, მისი პასით ბარბაქაძემ ვერ ჩატენა, თუმცა გადამწყვეტი ილეთი ქუთაისელმა ფორვარდმა ისე შეასრულა, რომ ფართან მყოფ ქართული ესტრადის წარმომადგენელს გადააფრინდა. ჟიურის წევრებმა - კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტებმა კახა შენგელიამ და ვლადიმერ ბოისამ, ასევე ვეტერანმა კალათბურთელებმა - პაატა გურასპაულმა, ნოდარ ქორქიამ და გია სანაძემ ბარბაქაძის ეფექტურ გდებს უფრო მაღალი შეფასება მისცეს. გიორგი ბარბაქაძე მატჩის დასრულების შემდეგ გამართულ დაჯილდოვების ცერემონიაზე ვეტერანმა კალათბურთელმა ამირან სხიერელმა დააჯილდოვა.

სამედიაციის კონკურსი

კონკურსის მონაწილენი ტრადიციულად მიმდინარე სუპერლიგის სტატისტიკური მონაცემებით შეირჩნენ. სამედიაციის საუკეთესო მსროლელების ხუთეულს გასული წლის «ოლ სტარში» სწავიქრთა კონკურსის გამარჯვებული, აკაკი ლომოური დაემატა, რომელმაც საბოლოოდ წარმატებით დაიცვა ტიტული. ფინალში ლომოური 20 ქულით გავიდა. წესების თანახმად თითოეულ კონკურსანტს პერიმეტრის 5 წერტილიდან 5-5 სროლა უნდა შეესრულებინა.

წინასწარი ეტაპიდან ფინალში გასული ლომოურის შემდეგ ქულები ასე გადანაწილდა: გიორგი ბარბაქაძე - 16, ფილიპ მილერი - 13, მორის ბრიგბი - 12, კახა ჭინჭარაძე - 9, ნიკოლა გაჩეშა - 8. ფინალურ კონკურსში ბარბაქაძემ და ლომოურმა თანაბარი (16-16) ქულა დააგროვეს. დაინიშნა დამატებითი რაუნდი, სადაც ანგარიშით 19:16 - გამარჯვება ლომოურს დარჩა.

ოლ სტარის საუკეთესო მოთამაშე (MVP)

2016 წლის ოლ სტარის საუკეთესო მოთამაშე "ქუთაისის" ფორვარდი გიორგი ბარბაქაძე გახდა, რომელმაც ჩატენგების კონკურსის მოგების შემდეგ ეს ტიტულიც დაიმსახურა. საუკეთესო მოთამაშისთვის განკუთვნილი სპეციალური პრიზი ბარბაქაძეს ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ გადასცა.



საბურთალოს სერიალი

თბილისი მწვრ.: დავით უსტიაშვილი ასისტ.: ირაკლი ხოშტარია

ნომერი	მოთამაშე	გუნდი
1	ლევან გრძელიძე	მგზავრები
2	ნოდარ გოგოძე	დინამო
3	მურის ბრიგისი	აკადემია
4	გიორგი ცირეციძე	მგზავრები
5	გიორგი შარაბიძე	დინამო
6	რევაზ როგავა	ოლიმპი
7	ებრიუ მაკალაძე	დინამო
8	კახაბერ ჯინჭარაძე	მგზავრები
9	კახა ტომარაძე	ოლიმპი
10	გრიგოლ შვანგირაძე	დინამო
11	რეჯინალდ მერფი	მგზავრები
12	ჭერემი ბაინუმი	ოლიმპი

რამიონი მწვრ.: კოტე ტულუში ასისტ.: რამაზ გოგობერიძე

ნომერი	მოთამაშე	გუნდი
1	ზაურ ფაშაევი	ქუთაისი
2	ლევან ცეცვაია	ქუთაისი
3	გიორგი ბარბაქაძე	ქუთაისი
4	ანატოლი ბოისა	ქუთაისი
5	აკაკი დვალაშვილი	ბათუმი
6	ფილიპ მილერი	სოხუმი
7	მეთეუ გლოვერი	სოხუმი
8	გიორგი ჯგერენია	სოხუმი
9	სერგო ათუაშვილი	სოხუმი
10	მიხეილ ჭოჭუა	რუსთავი
11	ნიკოლა გაჩეშა	რუსთავი
12	ლევონი სტეფანიშინი	ბათუმი

საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები

თბილისი

№	2 ქულა			3 ქულა			საჯ			მოხსნა			პას	პმ	დაკ	რ	დ	ფ	ქ		
	რ	ს	%	რ	ს	%	რ	ს	%	მ	ს	ჯამ									
1	გიორგი შარაბიძე	19:15	4	9	44,4	0	1	0,0	0	0	0,0	2	3	5	1	0	0	1	1	0	8
2	მურის ბრიგისი	15:17	3	3	100,0	2	8	25,0	0	0	0,0	0	1	1	3	0	0	2	1	0	12
5	რევაზ როგავა	08:53	2	4	50,0	0	1	0,0	0	0	0,0	2	0	2	1	0	0	0	0	0	4
6	კახა ჯინჭარაძე	15:18	3	5	60,0	0	2	0,0	0	0	0,0	1	1	2	4	0	0	0	0	0	6
7	ლევან გრძელიძე	14:42	2	4	50,0	0	1	0,0	0	0	0,0	0	3	3	1	0	0	1	1	0	4
8	კახა ტომარაძე	19:40	5	6	83,3	3	3	100,0	0	0	0,0	1	1	2	0	0	0	0	2	0	19
11	გრიგოლ შვანგირაძე	08:52	2	3	66,7	0	1	0,0	0	0	0,0	0	1	1	1	0	0	1	0	0	4
12	გიორგი ცირეციძე	16:54	2	3	66,7	0	2	0,0	0	0	0,0	1	3	4	0	1	0	0	1	1	4
21	ნოდარ გოგოძე	20:09	4	5	80,0	5	8	62,5	0	0	0,0	3	0	3	7	0	0	1	2	0	23
22	ებრიუ მაკალაძე	20:45	3	5	60,0	1	2	50,0	0	0	0,0	0	1	1	4	1	0	0	0	0	9
32	ჭერემი ბაინუმი	19:30	5	5	100,0	2	7	28,6	0	0	0,0	0	0	0	3	0	0	0	1	0	16
44	რეჯინალდ მერფი	20:45	5	6	83,3	1	2	50,0	0	0	0,0	1	1	2	3	0	0	0	0	0	13
გუნდი												0	1	1	0	0	0	0	0	0	
სულ			40	58	68,97	14	38	36,84	0	0	0,00	11	16	27	28	2	0	6	9	1	122

რამიონი

№	2 ქულა			3 ქულა			საჯ			მოხსნა			პას	პმ	დაკ	რ	დ	ფ	ქ		
	რ	ს	%	რ	ს	%	რ	ს	%	მ	ს	ჯამ									
1	ფილიპ მილერი	16:32	2	2	100,0	3	4	75,0	0	0	0,0	1	3	4	11	0	0	2	2	0	13
4	ზაურ ფაშაევი	17:42	1	1	100,0	0	1	0,0	0	0	0,0	0	0	0	3	0	0	1	0	0	2
5	მეთეუ გლოვერი	14:42	4	5	80,0	0	1	0,0	0	0	0,0	0	1	1	3	0	0	2	0	0	8
6	ანატოლი ბოისა	21:19	2	5	40,0	0	1	0,0	0	0	0,0	2	2	4	4	0	0	0	0	0	4
8	ლევან ცეცვაია	20:35	6	8	75,0	0	2	0,0	0	0	0,0	1	2	3	7	0	0	2	2	0	12
9	გიორგი ჯგერენია	11:15	7	11	63,6	0	0	0,0	0	0	0,0	0	0	0	2	0	0	3	1	0	14
11	სერგო ათუაშვილი	17:49	6	7	85,7	0	0	0,0	0	0	0,0	1	4	5	0	0	0	0	0	0	12
13	მიხეილ ჭოჭუა	10:26	3	3	100,0	0	1	0,0	0	0	0,0	0	1	1	2	0	0	0	0	0	6
15	გიორგი ბარბაქაძე	19:12	8	11	72,7	5	7	71,4	0	0	0,0	0	4	4	1	0	0	0	0	0	31
21	აკაკი დვალაშვილი	19:11	10	12	83,3	0	1	0,0	0	0	0,0	4	7	11	2	0	0	1	0	0	20
45	ნიკოლა გაჩეშა	14:28	6	6	100,0	0	0	0,0	0	2	0,0	2	3	5	1	0	1	0	0	0	12
99	ლევონი სტეფანიშინი	16:49	7	7	100,0	0	1	0,0	0	2	0,0	1	1	2	6	0	1	1	0	0	14
გუნდი												0	2	2	0	0	0	0	0	0	
სულ			62	78	79,49	8	19	42,11	0	4	0,00	12	30	42	42	0	2	12	5	0	148





უკვე მეექვსე წელია, მინერალური წყალი „ბორჯომი“ საქართველოს ეროვნული ნაკრების პარტნიორია. კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ და კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ გენერალურმა დირექტორმა ზაზა კიკვაძემ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი „ბორჯომის“ ქარხანაში მოაწერეს.

ხელმოწერის ცერემონია ქალაქ ბორჯომში გაიმართა და მას საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილიც დაესწრო. თავდაპირველად, სტუმრები ბორჯომის N1 ჩამომსხმელ ქარხანას ესტუმრნენ და მსოფლიოში სახელგანთქმული მინერალური წყლის წარმოების პროცესს გაეცნენ, რის შემდეგაც მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონია გაიმართა.

ლონისძეებს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ნაკრების წევრები: ზაზა ფაჩულია, ნიკა ციციტიშვილი, ანატოლი ბოისა, ვიქტორ სანიკიძე, გიორგი შერმადინი, ნიკა მეტრეველი, დუდა სანაძე, ბექა ბურჯანაძე, გიორგი შარაბიძე, ბესიკ ლფაგვა, ლუკა ზაქრაძე, გიორგი გოგობერიძე და ასევე მწვრთნელები - კოტე ტულუში და ირაკლი ხოშტარია ესწრებოდნენ. მემორანდუმის თანახმად, „ბორჯომი“ 2016 წელს, წინა წლების მსგავსად, კვლავ საქართველოს ნაკრების პარტნიორად დარჩა.

ტარიელ ხეჩიკაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი: „ეს არის სახელმწიფოს, ფედერაციის და კერძო სექტორის თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითი, რაც, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს ჩვენი სპორტსმენების წარმატებას. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო კომპანია „ბორჯომს“ და მის ხელმძღვანელებს. მათ არა მარტო კალათბურთისთვის, არამედ ზოგადად ქართული სპორტისთვის ბევრი სასიკეთო საქმე აქვთ

გაკეთებული. გვჯერა, რომ ქართველი კალათბურთელები მომავალში არაერთი გამარჯვებით გაგვახარებენ. წარმატებას ვუსურვებ ეროვნულ ნაკრებს“.

ზაზა კიკვაძე, კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ გენერალური დირექტორი: „ბორჯომის“ ბრენდი საქართველოს საექსპორტო გაყიდვების ფლაგმანი და გარკვეულწილად ვალდებულებადაც კი ვთვლით თავს, რომ გვერდში დავუდგეთ გუნდს, რომელიც ჩვენი ბრენდის მსგავსად წარმოაჩენს ჩვენს ქვეყანას მთელს მსოფლიოში. მინდა, წარმატება ვუსურვო ჩვენს ნაკრებს“.

მიხეილ გაბრიჩიძე, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი: „საერთაშორისო ასპარეზზე „ბორჯომის“ მინერალური წყალი ყოველთვის საქართველოს სახელთან ასოცირდება, ამიტომ მოხარულნი ვართ, რომ ეს ცნობილი კომპანია კვლავ ჩვენი გენერალური პარტნიორი იქნება. იმედი გვაქვს, კალათბურთის პოპულარიზაციის მიზნით, მომავალშიც გაგრძელდება ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობა. ჩვენი ნაკრები ქართულ ბრენდთან ერთად კიდევ უფრო დიდ ყურადღებას მიიპყრობს მთელ ევროპაში“.



პირველი წელი არ არის, რაც „საქართველოს რკინიგზა“ თანამშრომლობს კალათბურთთან. იმედი მაქვს რომ ეს წელი წარმატებული იქნება როგორც საქართველოს რკინიგზასთვის, ასევე ჩვენი კალათბურთისთვის და მისი განვითარებისთვის.



„საქართველოს რკინიგზასა“ და კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ხელშეკრულებას ხელი საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ, ხოლო „საქართველოს რკინიგზის“ მხრიდან გენერალურმა დირექტორმა მამუკა ბახტაძემ მოაწერეს. სპონსორობის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაგრძელდა სუპერლიგაზე, ეროვნულ და ასაკობრივ - 16, 18 და 20-წლამდელთა ნაკრებებზე. მემორანდუმის ხელმოწერას ოფიციალური სტუმრებიც ესწრებოდნენ - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი და „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კოკა გუნცაძე. ხელმძღვანელები და ოფიციალური სტუმრები სიტყვით გამოვიდნენ, ხოლო ხელმოწერის შემდეგ ამ ღირსშესანიშნავ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარები გააკეთა.

მამუკა ბახტაძე, „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი: ვფიქრობ, რომ ეს დიდი პასუხისმგებლობა და საამაყო საქმეა ჩვენთვის. ჩვენ ქართულ კალათბურთთან უკვე 1 წელია ვთანამშრომლობთ და ხელშეკრულების გაფორმებით ეს უკვე ოფიციალურ დონეზე ავიდა.

მიხეილ გაბრიჩიძე, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი: ქართული კალათბურთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ძლიერი კომპანიის მხარდაჭერა და მსგავსი პრეცედენტი ჭრჭერობით არ ყოფილა.

ტარიელ ხეჩიკაშვილი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი: ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული სპონსორის შემოსვლა ქართულ სპორტულ სივრცეში. ბუნებრივია ეს ხელს შეუწყობს როგორც კალათბურთის ეროვნული ნაკრების, ასევე ასაკობრივი ნაკრებების და ეროვნული ჩემპიონატის დონის ამადლებას. ჩვენთვის მთავარი საფიქრალი და საზრუნავი არის ეროვნული ჩემპიონატი, რამეთუ ნაკრებმა აუცილებლად უნდა მიიღოს შესაბამისი შევსება. ფედერაციაც და სპორტის სამინისტროც ამაზე მუშაობს. მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელებს, რომ კალათბურთის ფედერაციას გვერდით დაუდგა. ეს არ არის პირველი შემთხვევა მათი მხრიდან - ისინი ქართულ სპორტს უანგაროდ ემსახურებიან და ეს მისასალმებელია.

კოკა გუნცაძე, საქართველოს რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ჩვენ გავითვალისწინეთ ყველა ფაქტორი: ტრადიციები, სახელოვანი წარსული ჩვენი კალათბურთის, პოტენციალი და მისი მომავალი, დღეს არსებული წარმატებები. გავითვალისწინეთ ის ამოცანები, რომლებიც დგას ჩვენი ეროვნული ნაკრების წინაშე და ის მთავარი ფაქტორი, რომ ჩვენი კალათბურთის გამარჯვება ჩვენი ხალხის გამარჯვებაა. ცხადია ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება გავზღადარიყავით გენერალური სპონსორი ჩვენი ეროვნული გუნდების და მხარი დაგვეჭირა კალათბურთის ეროვნული ფედერაციისთვის. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრები გააგრძელებს წარმატებებით სვლას საერთაშორისო სარბიელზე.



თამაზ ოქრუაშვილის სახელობის ტურნირი

ცნობილი ქართველი მწვრთნელის, თამაზ ოქრუაშვილის ხსოვნის ტურნირის მისმა მშობლიურმა ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზმა უმასპინძლა. ტურნირში მონაწილეობა 14-15 წლის მოზარდებით დაკომპლექტებულმა ექვსმა გუნდმა მიიღო. მემორიალი ორგანიზებული იყო თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის გამგეობისა და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ.

თამაშებს ვერის ბაღმა 5 და 6 დეკემბერს უმასპინძლა. 6 მონაწილე 2 ჯგუფში განაწილდა. პირველში თავი „აკადემიამ“, „ჰიუნდაი 2“-მა და „მართვეს“ მოიყარეს, ხოლო მეორე ჯგუფი „არმიამ“, „ჰიუნდაიმ“ და „ორბმა“ შეადგინეს.

ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს ფინალში დაუპირისპირდნენ, ხოლო მეორე ადგილოსნებმა ერთმანეთში მე-3 ადგილი გაითამაშეს. ბრინჯაოს მედლებისთვის „ჰიუნდაი“ „მართვეს“ შეხვდა და ანგარიშით 117:56 სძლია. ფინალური მატჩი კი მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ზვიად დიდბარძისა და ნინო ყიფშიძის განვრთნილი „ორბი“ მთელი პირველი ტაიმი უგებდა „აკადემიას“, თუმცა მეორე ნახევარში ალექსანდრე ჯაფარიძის გუნდმა ინიციატივა მოიპოვა და გამარჯვებამდე მივიდა.

საბოლოოდ „აკადემიამ“ 92:63 დაამარცხა „ორბი“ და საკალათბურთო მწვრთნელის სახელობის თასი მოიპოვა. ფინალური მატჩის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოვების ცერემონიალი, სადაც პრიზიორ გუნდებთან ერთად ინდივიდუალური პრიზების მომგები მოთამაშეებიც დაასაჩუქრეს.

მე-3 ადგილზე გასული „ჰიუნდაი“ მთაწმინდის რაიონის გამგეობის კულტურის, სპორტისა და განათლების განყოფილების უფროსმა გიორგი კაშიამ მედლებითა და სიგელებით დააჯილდოვა.

„ორბის“ მწვრთნელებს და მოთამაშეებს შესაბამისი

მედლები და სიგელები მთაწმინდის გამგეობის მოადგილე კახაბერ ქოროლიძემ გადასცა, რომელმაც ასევე ტურნირის საუკეთესო უკანახაზელად დასახელებული რატი ანდრონიკაშვილი სპეციალური პრიზით დააჯილდოვა.

ტურნირზე დაწესებული იყო მაყურებელთა სიმპათიის პრიზი, რომელიც „ორბის“ მოთამაშე გიორგი ბიჭიაშვილს ერგო. გამარჯვებულს პრიზი თამაზ ოქრუაშვილის მეგობარმა, ვერის ბაღის გულშემატკივართა კლუბის წევრმა თემურ ლაღანიძემ გადასცა.

საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა აკადემიელთა ლიდერი მიშა მურაბაშვილი, რომელიც კალათბურთის ეროვნული ფედერაციის საშუკიბრო დეპარტამენტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ალექო პეტრიაშვილმა დააჯილდოვა.

ჩემპიონ „აკადემიას“ მედლები, სიგელები და საჩემპიონო თასი მთაწმინდის რაიონის გამგეობელმა გელა არჩვაძემ და კალათბურთის ეროვნული ფედერაციის საშუკიბრო დეპარტამენტის უფროსმა ზვიად კოტრიკაძემ გადასცეს.



#NBAVOTE ZAZA PACHULIA

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და კალათბურთის ფედერაციის ერთობლივი ორგანიზებით, თბილისის ოლიმპიურ სასახლეში ზამა ფაჩულიას მხარდასაჭერი მატჩი გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა, ვეტერანმა კალათბურთელებმა, ვეტერანმა და მოქმედმა სპორტსმენებმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებმა, სხვადასხვა ფედერაციების წარმომადგენლებმა და ჟურნალისტებმა. ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის „ყველა ვარსკვლავის“ მატჩისთვის მიმდინარე გამოკითხვაში ფაჩულია ლიდერთა შორის იყო და აღნიშნული აქტივობა „დალას მავრიკის“ ქართველი ცენტრისადმი ყურადღების კიდევ უფრო გაზრდას, გამოკითხვაში მის მხარდაჭერას ემსახურებოდა.

კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების კაპიტნის მხარდასაჭერად საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ კალათბურთის ფედერაციასთან ერთად სპორტის სამყარო გააერთიანა. ზამას მხარდასაჭერ საკალათბურთო მატჩში მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ჩემპიონებმა ითამაშეს, მათ შორის მსოფლიოს 2015 წლის ჩემპიონმა ჭიდაობაში, საქართველოს საუკეთესო სპორტსმენმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა,

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა, ტარიელ ხეჩიკაშვილმა მოადგილეებთან აკაკი ლოღიასთან, შალვა გოგოლაძესთან და რევაზ ჯაგელიძესთან ერთად, ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ქვეციშვილმა ფედერაციის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს 8-გზის ფალავანმა ალექსი დავითაშვილმა, მსოფლიოს ჩემპიონმა ჭიდაობაში რამამ ნოზაძემ, ევროპის ჩემპიონმა დავით მარსაგიშვილმა, კანოეს ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ქაცარავამ, ვეტერანმა კალათბურთელებმა - მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ნიკოლოზ დერიუგინმა, პაატა გურასპაულმა, ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გიორგი ქართველიშვილმა და სხვებმა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მესვეურები - პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი და ოლიმპიური ჩემპიონი ტყვის სროლაში ნინო სალუქვაძე, ასევე სხვადასხვა სპორტული ფედერაციების - ფეხბურთის, რაგბის, ძალოსნობის, კარატეს, უშუს, ხელბურთის, ფიგურული ციგურაობის და სხვა წარმომადგენლები, ვეტერანი კალათბურთელები, ქომაგები, ჟურნალისტები. ვეტერანთა გუნდის მწვრთნელი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძე გახლდათ, ხოლო სამინისტროს გუნდის ახალგაზრდული დეპარტამენტის უფროსი ნუგზარ კანდელაკი.

მატჩი ფრედ - 47:47 დასრულდა, გაიმარჯვა ზამა ფაჩულიასადმი საქართველოს სპორტის სამყაროს სოლიდარობამ.



არასრულწლოვანთა N11 დაწესებულებას კალათბურთოელები ესტუმრნენ

არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ვეტერანი და სუპერლიგის კალათბურთოელების მონაწილეობით, ამხანაგური მატჩი გაიმართა. ღონისძიება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინიციატივით, არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მიზნით, განხორციელდა. საკალათბურთო მატჩს პენიტენციური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ზვიად მიხანაშვილი და კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძე დაესწრნენ. პენიტენციური დეპარტამენტის ხელმძღვანელის ზვიად მიხანაშვილის განცხადებით, მსგავსი აქტივობების განხორციელება მსჯავრდებულების/ბრალდებულების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისთვის მნიშვნელოვანია.

ნია, განსაკუთრებით კი არასრულწლოვნებისთვის. „არასრულწლოვნებს განსაკუთრებული მოპყრობა სჭირდებათ, ამიტომ ღონისძიებას ერთჯერადი სახე არ ექნება და მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება. კედელი, რომელიც აქ არის აღმართული ძალიან მალე დაინგრევა და ისინი გარეთ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად გავლენ“- განაცხადა ზვიად მიხანაშვილმა. კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მიხეილ გაბრიჩიძის თქმით, ფედერაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან აქტიურ თანამშრომლობას მომავალშიც გააგრძელებს. კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში სტუმრობისას შენობაში არსებული მოგადსაგანმანათლებლო სკოლა და ბიბლიოთეკა დაათვალიერეს. ღონისძიების დასასრულს სპორტსმენებმა არასრულწლოვან მსჯავრდებულებებს საჩუქრად ბურთები და მაისურები გადასცეს.

N12 პენიტენციურ დაწესებულებას საქართველოს „ა“ ლიგის საკალათბურთო გუნდ „სეუ“-ს წევრები ესტუმრნენ და დაწესებულების მოედანზე მსჯავრდებულებთან ერთად მეგობრული თამაში გამართეს.

N12 პენიტენციურ დაწესებულებას საქართველოს „ა“ ლიგის საკალათბურთო გუნდ „სეუ“-ს წევრები ესტუმრნენ და დაწესებულების მოედანზე მსჯავრდებულებთან ერთად მეგობრული თამაში გამართეს. მსჯავრდებულები შეხვედრისთვის რამდენიმე დღის განმავლობაში ემზადებოდნენ და ფიზიკურად ვარჯიშობდნენ. დაწესებულების დირექტორის, ვახა თეთრაძის განცხადებით მსგავსი ღონისძიებები მსჯავრდებულების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისთვის საუკეთესო საშუალებაა. „დაწესებულებაში თითქმის ყოველ კვირას შემოდის საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანი, იქნება ეს სპორტსმენი თუ საზოგადო მოღვაწე, რაც მსჯავრდებულებზე თავისთავად დადებით ზეგავლენას ახდენს. „ძალიან ხშირად, შეიძლება მცირე ზომებით, მაგრამ მაინც ვაწყობთ ხოლმე სპორტულ შეჯიბრებებს. მიმაჩნია, რომ ასეთი შეხვედრები მსჯავრდებულების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას ყველაზე მეტად

უწყობს ხელს“- განაცხადა ვახა თეთრაძემ. თამაშის დასრულების შემდეგ კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა მსჯავრდებულებს საჩუქრად ბურთები და ეროვნული ნაკრების მოთამაშეების მაისურები გადასცეს. „N12 დაწესებულებაში პირველად ვართ, მანამდე მეგობრული შეხვედრა გვექონდა არასრულწლოვნებთან. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმ ადამიანების მიმართ გამოხატოთ მხარდაჭერა, ვისაც ეს სჭირდება. ზოგადად, ჩვენი ფედერაციის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია და ყველას ამისკენ მოვუწოდებთ“- განაცხადა სუპერლიგის და ასაკობრივი ლიგების აღმასრულებელმა დირექტორმა - გიორგი მბაბხიძემ.



ვალარი ალთაბაავისა და ალექსანდრა კილაძის სახელობის ტურნირი

საქართველოსა კალათბურთის ეროვნული ფედერაციისა და აჭარის კალათბურთის ფედერაციის მხარდაჭერით ბათუმში 2003 წელს დაბადებულთა საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ცნობილი კალათბურთელების - ვალერი ალთაბაავისა და ალექსანდრე კილაძის სახელობის გახლდათ.

ტურნირში აჭარის 2003 წელს დაბადებულთა ნაკრებთან ერთად საქართველოს ამ ასაკის ნაკრები და 2 თურქული კლუბის - ტრაბზონსპორისა და რიზეს ასაკობრივი გუნდები მონაწილეობდნენ. გათამაშების ფორმატი ოთხ გუნდს შორის ერთი წრის გამართვას გულისხმობდა და საბოლოოდ ჩემპიონობის მომპოვებელმა, ალექსანდრე ჯაფარიძის განვრთნილმა საქართველოს ნაკრებმა სამივე მატჩი მოიგო. პირველ შეხვედრაში საქართველოს ნაკრებმა „ტრაბ-

ზონ სპორი“ 76:53 დაამარცხა. მომდევნო მატჩებში ჯაფარიძის განვრთნილმა ნაკრებმა „რიზეს“ იოლად - 83:56 სძლია, ხოლო აჭარის ნაკრებთან ყველაზე დაძაბული ბრძოლა გადახდა, რომელიც 76:67 მოიგო. აჭარის ნაკრებში საქართველოს ნაკრების რამდენიმე წევრი და კანდიდატი თამაშობდა.

ტურნირის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოვების ცერემონიალი. გამარჯვებულები, პრიზიორები და ინდივიდუალური პრიზების მფლობელები საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გიორგი ქართველიშვილმა, აჭარის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გოდერძი კორძაძემ, ბათუმის მერის ადმინისტრაციის უფროსმა მერაბ ქიქინიძემ, აჭარის მასობრივი სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა ბადრი შამილაძემ, თურქეთის ვიცე-კონსულმა საქართველოში საით ფაიგმა და ვეტერანმა კალათბურთელმა, ვალერი ალთაბაავისა და ალექსანდრე კილაძის მეგობარმა, ანტონ კაზანჯიანმა დააჯილდოვეს.

თითოეულ გუნდში საუკეთესო მოთამაშეები დასახელდა. საქართველოს ნაკრებში ეს პატივი წილად ხვდა ლუკა ლიკლიკაძეს, ხოლო აჭარელთაგან გიორგი ოჩხიკიძე გამოარჩიეს. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ საქართველოს ნაკრების წევრი ლუკა დოლიძე დასახელდა.



WWW.GBF.GE



WWW.SUPERLEAGUE.GE



WWW.A-LEAGUE.GE



WWW.U-20.GE



WWW.U-18.GE



WWW.U-16.GE



მწვრთნელთა გადაგზავნისა და ლიცენზირების პროგრამა

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციისა და მწვრთნელთა კავშირის მიერ ორგანიზებული მწვრთნელთა გადაგზავნისა და ლიცენზირების პროგრამა, რომელიც 2015 წელს დაიწყო, წარმატებით გრძელდება. 2015 წელს აღნიშნული პროგრამის პირველი ეტაპი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა იმ მწვრთნელებმა მიიღეს, რომლებიც ყველაზე დაბალ ასაკობრივ ჯგუფებში მუშაობენ, ან აპირებენ მუშაობას. რაც შეეხება მეორე ეტაპს, ის 2016 წელს დაიწყო და ტესტირებამდე, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში სემინარები გაიმართა. მეორე ეტაპი იმ მწვრთნელებისთვისაა გათვლილი, რომლებიც 14-18 წლის მოზარდებში მუშაობენ.

სემინარები 31 მაისს ბათუმიდან დაიწყო, ქუთაისში გაგრძელდა და 4 ივნისს, თბილისში დასრულდა. შესაბამის ქალაქებში მიმდებარე რეგიონის მწვრთნელებმა მოიყარეს თავი. სემინარებს მთლიანობაში დაახლოებით 100 მწვრთნელი

დაესწრო, თუმცა მათი რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით გაცილებით დიდია. მწვრთნელთა გადაგზავნისა და ლიცენზირების პროგრამა მონაწილეებს საშუალებას აძლევს, გამოცდებზე სემინარებზე დასწრების გარეშე გავიდნენ და მათი წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში შესაბამისი ლიცენზია მიიღონ.

სემინარებს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მიერ მონეული ბალკანელი სპეციალისტები - ხორვატი ტიჰომირ ბუიანი და სერბი მილოშ გლიგორიევიჩი უძღვებოდნენ. მათ დამსწრეებს დეტალურად უჩვენეს ის მეთოდოლოგია, რომლითაც თანამედროვე კალათბურთში მწვრთნელებს მოზარდებთან მუშაობა მართებთ. ბალკანელ სპეციალისტებს ასისტენტობას „კაკტუსისა“ და 18-წლამდეელთა ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი, არჩილ ჟღენტი უწევდა.

მწვრთნელთა გადაგზავნისა და ლიცენზირების პროგრამა 2017 წელსაც გაგრძელდება და მესამე ეტაპის ჩატარების შემდეგ დასრულდება. პროგრამის

კოორდინატორის, ნოდარ ავალიშვილის განცხადებით, იმ პირებს, რომლებსაც პროგრამაში მონაწილეობა არ მიუღიათ, მომავალში შეეძლებათ ტესტირების ჩაბარება და შესაბამისი ლიცენზიის მიღება.





თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია მჭიდროდ თანამშრომლობას განაგრძობს თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირთან. ამ ორგანიზაციებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 4 წლის წინ გაფორმდა და მას შემდეგ განვითარების კავშირი სხვადასხვა ასაკში დედაქალაქის ჩემპიონატებს ატარებს. ვეტერანი კალათბურთელის, პაატა გურასპაულის თაოსნობით გაერთიანებული ყოფილი კალათბურთელები ფედერაციასთან ერთად ორგანიზებას უწევენ 14, 16 და 18- წლამდელთა თბილისის ჩემპიონატებს. აღნიშნულ ტურნირებში მონაწილე გუნდების რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება, რაც მოგადად ქვეყანაში კალათბურთის განვითარების ლოგიკური შედეგია. გასულ სეზონში განვითარების კავშირმა დედაქალაქის მასშტაბით 6 ტურნირი ჩაატარა. თბილისის პირველობებმა „საკალათბურთო აკადემიის“ დომინირებით ჩაიარა. აკადემიელებმა 16 და 18-წლამდელთა



თბილისის ჩემპიონატები მოიგეს, ხოლო 14-წლამდელთაში გამარჯვება „დინამოს“ დარჩა. ის გუნდები, რომლებიც აღნიშნული ტურნირების პლეი ოფში გავიდნენ, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილეობის უფლება მიიღეს, ხოლო ჭგუფში დარჩენილი გუნდებისთვის განვითარების კავშირმა აღნიშნულ ასაკებში ცალკე ტურნირები ჩაატარა „ბ“ ლიგის სახელწოდებით. აღნიშნული ტურნირები რეგულარულ ხასიათს ატარებდა და მთელი სეზონის განმავლობაში მიმდინარეობდა. „ბ“ ლიგაში მოზარდები დიდი სათამაშო გამოცდილებას იღებდნენ და არაერთმა მათგანმა საქართველოს ჩემპიონატებში მონაწილე გუნდებში, ერთეულებმა კი შესაბამის ასაკობრივ ნაკრებებში დაიმსახურა ადგილი.



თბილისის ჩამოკონატი



ბ-ლიგა



კალათბურთის მანკობის კაპიტალიზაცია

ამირან სხიარლი - 75

ვეტერანი კალათბურთელი და ყველასთვის ცნობილი პიროვნება - ამირან სხიარლი 75 წლის გახდა. „თბილისის დინამოს“ შემადგენლობაში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონსა და არაერთი პრიზის მფლობელს, საბჭოთა კავშირის ნაკრებში ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულს, საერთაშორისო კლასის ოსტატსა



და ღირსების ორდენის კავალერს იუბილის აღსანიშნავად საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ საპატიო სიგელითა და საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურით დააჯილდოვა. ბატონ ამირანს, რომლის სპორტული კარიერის უდიდესი წარმატებები „დინამო თბილისს“ უკავშირდება, ამ კლუბის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა, ვახტანგ ნაცვლიძემ აღიარა ფულადი ჯილდო გადასცა.



ანზორ ლეჟავას ვაშლი

2016 წლის 3 სექტემბერს 80 წელი შეუსრულდებოდა დიდ ქართველს კალათბურთელს, ღირსების ორდენის კავალერს ანზორ ლეჟავას. სწორედ ამ დღეს, მისი საცხოვრებელი სახლის ფასადზე გაიხსნა



მემორიალური დაფა, ხოლო ცერემონიალს საკალათბურთო საზოგადოების წარმომადგენლები, ვეტერანი და ანზორ ლეჟავას თანაგუნდელ-მეგობრები დაესწრნენ. ანზორ ლეჟავა გახლდათ ქართული კალათბურთის ყველაზე დიდი გამარჯვების მოზიარე. 1962 წელს მან თბილისის „დინამოსთან“ ერთად ევროპის საკლუბო ჩემპიონთა თასი მოიგო. ანზორ ლეჟავა გახლდათ საბჭოთა კავშირის 1968 წლის ჩემპიონი, ხოლო 1959, 1960, 1961 და 1968 წლებში ვერცხლის, 1965-ში კი ბრინჯაოს მედლებს ფლობდა. იყო საბჭოთა კავშირის, საქართველოსა და თბილისის ნაკრებების წევრი.



ილია ლეჟავა - 75

ვეტერან კალათბურთელს, 60-იან წლებში საქართველოს კავშირის ნაკრების წევრსა და საკავშირო სპორტაკადემიის არაერთგზის პრიზიორ ილია ლეჟავას 75 წელი შეუსრულდა. ილია ლეჟავა საქართველოს ნაკრების ღირსებას 1963 და 1967 წლებში იცავდა. ბატონი ილია გახლავთ საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი, რომელიც იცავდა თბილისის „ბურევსტნიკის“ ღირსებას.



ვალერი ლომაძე

ვალერი ლომაძეს სპორტის რაინდის წოდება მიენიჭა. სპეციალური ჯილდო მას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი დოლაბერიძემ სუპერლიგის მე-2 ტურის ცენტრალური შეხვედრის დაწყების წინ გადასცა. ღირსების ორდენის კავალერი და საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის მფლობელი ვალერი ლომაძე მრავალი ინდივიდუალური თუ გუნდური ჯილდოს მფლობელია. იგი საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპორტაკადემიის პრიზიორი და სტუდენტთა თამაშების სამგზის ჩემპიონია. პროფესიონალური კარიერის განმავლობაში - საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და თბილისის დინამოს შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის პრიზიორი. ევროპისა და აზიის 9 ქვეყნის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე თბილისის დინამოს შემადგენლობაში ორჯერ გახდა გამარჯვებული. 1961 წელს ბატონი ვალერი დაასახელებს საბჭოთა კავშირის 25 უძლიერეს კალათბურთელს შორის. ვალერი ლომაძე ამჟამად საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობის წევრი და ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდის პრეზიდენტია.



საბჭოთა კალათბურთელები

ჩემი წლები და ღონისძიებები გამარჯვებული გუნდების წევრის მიხედვით

სუპერლიგა					
1991	დინამო	2000-2001	ბასკო	2009-2010	ენერჯი ინვესტი
1992-1993	ვითა	2001-2002	ბასკო	2010-2011	არმია
1993-1994	ვითა	2002-2003	დინამო	2011-2012	არმია
1994-1995	ვითა	2003-2004	ბასკო	2012-2013	შსს აკადემია
1995-1996	ვითა	2004-2005	სტუ ჯეოსელი	2013-2014	დინამო
1996-1997	ვითა	2005-2006	თბილავიამუნენი	2014-2015	შსს აკადემია
1997-1998	ვითა	2006-2007	ენერჯი ინვესტი	2015-2016	ქუთაისი
1998-1999	ვითა	2007-2008	ენერჯი ინვესტი		
1999-2000	ბასკო	2008-2009	ენერჯი ინვესტი		

ა-ლიგა			
2014-2015	არენა 76	2015-2016	კაკუტსი

20-წლამდელია ჩემპიონატი					
2008-2009	რუსთავი	2011-2012	სოხუმი	2014-2015	ოლიმპი
2009-2010	რუსთავი	2012-2013	სოხუმი	2015-2016	სოხუმი
2010-2011	სტუ	2013-2014	შსს აკადემია		

18-წლამდელია ჩემპიონატი					
2008-2009	აკადემია	2011-2012	ქუთაისი	2014-2015	აკადემია
2009-2010	აკადემია	2012-2013	ჰიუნდაი	2015-2016	აკადემია
2010-2011	სოხუმი	2013-2014	აკადემია		

16-წლამდელია ჩემპიონატი					
2008-2009	ქუთაისი	2011-2012	აკადემია	2014-2015	ჰიუნდაი
2009-2010	ქუთაისი	2012-2013	შსს აკადემია	2015-2016	აკადემია
2010-2011	აკადემია	2013-2014	აკადემია		

დღე და დიანის მემორიალი					
2002	დინამო	2007	ენერჯი ინვესტი	2012	არმია
2003	ჯეოსელი	2008	ენერჯი ინვესტი	2013	სოხუმი
2004	სტუ ჯეოსელი	2009	ენერჯი	2014	რუსთავი
2005	ავიამუნენი	2010	ენერჯი ინვესტი	2015	ბარსი (ყაზახეთი)
2006	ენერჯი ინვესტი	2011	ქუთაისი		

მურაბ სავანდელიძის და მიხეილ ქორქიას მემორიალი					
2006	რუსთავი	2010	ენერჯი ინვესტი	2014	დინამო
2007	ენერჯი ინვესტი	2011	თსუ	2015	შსს აკადემია
2008	თბილავიამუნენი	2012	არმია	2016	ქუთაისი
2009	ენერჯი ინვესტი	2013	ოლიმპი		

საქართველოს თასი					
2003	ბასკო	2008	თბილავიამუნენი	2013	შსს აკადემია
2004	დინამო	2009	ენერჯი ინვესტი	2014	ქუთაისი
2005	სტუ	2010	სსაუ	2015	დინამო
2006	თსუ ნიკორა	2011	არმია	2016	დინამო
2007	თბილავიამუნენი	2012	არმია		

სუპერთასი					
2006	თსუ ნიკორა	2010	სსაუ	2014	ქუთაისი
2007	ამოტი	2011	არმია	2015	შსს აკადემია
2008	ენერჯი ინვესტი	2012	არმია		
2009	ავიამუნენი	2013	ოლიმპი		

გამარჯვებული გუნდების ქრონოლოგია



ბორჯომი

გათავისუფლდი
ზადებთსაგან

საერთაშორისო კალათბურთის ეროვნული ფედერაცია მადლობას უხდის
თანაგზრომელობისთვის

